



კანონთა და მოთაპროვზის განსაკრგულავათა

კ რ ე ბ უ ლ ი

რუსთიის სავინისტრუს სავოლიოკასიო განუოლიავის გამრუხავა.

13747

1919 წ. ივნისის 10

№ 8

პირველი ნაწილი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- კან. 56. დეკრეტი დამფუძნებელ კრების წევრთა შეუვალობისა.
- „ 57. დადგენილება დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიისათვის 100.000 მან. გადაცემისა.
- „ 58. დეკრეტი საშუალო და უმაღლეს დაწყებითი სკოლების შესანახად 4.085.121 მან. და 16 კაპ. და არა სახაზინო უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის სუბსიდიის მისაცემად 250.000 მან. გაღებისა.
- „ 59. ოჯახურ მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებისა.
- „ 60. დეკრეტი რესპუბლიკის სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეების ჯამაგირის მომატებისა.
- „ 61. დეკრეტი რკინის გზის საწყობებში საქონლის შენახვის ვადის შემცირებისა.
- „ 62. დეკრეტი 500.000 მან. გადაღებისა ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადაკეთებისათვის რესპუბლიკის სამინისტროების მოსათავსებლად.
- „ 63. დეკრეტი 100.000 მან. გაღებისა საუკეთესო სახელმძღვანელოთა ავტორთათვის პრემიების მისაცემად.
- „ 64. დეკრეტი საქართველოს პარლამენტის 1919 წლის იანვრის 31-ს კანონის (მთავრობისათვის საგასავლო თვიურ კრედიტების გახსნისა) მოქმედების განგრძობისა.
- „ 65. საქართ. სახაზინო რკინის გზების მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.
- „ 66. მოქალაქეობისა.



56. დ ე კ რ ე ტ ი

დამფუძნებელ კრების წევრთა შეუვალობისა.

1. დამფუძნებელ კრების წევრი ხელშეუხებელია.
 2. არ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემა იმ აზრისა და შეხედულობისათვის, რომელსაც იგი სიტყვით, ხმის მიცემითა ან სხვა გზით გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.
 3. არც ადმინისტრაციას, არც სასამართლოს და არც სხვა უწყების მოხელეს არა აქვს უფლება პირადად დამფუძნებელ კრების წევრის ან მისის ნივთების გაჩხრეკისა.
 4. დამფუძნებელ კრების წევრის ბინა შეიძლება გაჩხრეკილ იქნეს მხოლოდ სათანადო სასამართლოს დადგენილებითა და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის ნებართვით.
 5. დამფუძნებელ კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელ კრების დადგენილებით.
- შ ე ნ ა შ ვ ნ ა.** უკეთუ დამფუძნებელ კრების წევრს მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს მისაწრებენ, შეიძლება იგი დაპატიმრებულ იქნეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამფუძნებელს კრებას.
6. დაპატიმრებული დამფუძნებელ კრების წევრი უნდა დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს, უკეთუ ამას დამფუძნებელი კრება დაადგენს.
 7. დამფუძნებელ კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა გადასწყდება დამფუძნებელ კრების სხდომაზე ხმის ორი მესამედის უმეტესობით.
 8. ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება საქართველოს პარლამენტის 1919 წლის იანვრის 31 კანონის 1, 11 და 12 მუხ. ძალით (იხ. „კანონთა და მთავრობის განკარგ. კრებული“ 1919 წლის მარტის 12 № 5, კან. მე-37) აღნიშნულ სასჯელის გადიდებით ორის ხარისხით.
 9. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. მაისის 9.

დედასს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

57. დადგენილება

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიისათვის 100.000 მან.
გადაცემისა.

1. გადაეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას ასი ათასი (100.000) მანეთი ამა წლის მაისის 26-ს სახელმწიფოს დღესასწაულის გასამართავად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ერთის წლის შესრულების გამო.

2. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. მაისის 9.

დედასს ხელს აწერს:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

58. დეკრეტი

საშუალო და უმაღლეს დაწყებითი სკოლების შესანახად 4.085.121 მან. და 16 კაპ. და არა სახაზინო უმაღლეს დაწყებითი სკოლებისთვის სუბსიდიის მისაცემად 250.000 მან. გაღებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ოთხი მილიონი ოთხმოცდახუთი ათას ას ოცდაერთი მან. და 16 კაპ. (4.085.121 მან. 16 კაპ.) რესპუბლიკის საშუალო და უმაღლეს დაწყებითი სკოლების შესანახად 1919 წ. იანვრისა, თებერვლისა, მარტისა და აპრილის განმავლობაში, თანახმად საქართველოს პარლამენტის 1919 წლის იანვრის 28-ს კანონისა („კან. და მთავრ. განკარგ. კრებული“ 1919 წ. № 2, კან. მე-14 და 15).

2. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ორას ორმოცდაათი ათასი (250.000) მანეთი არა სახაზინო უმაღლეს დაწყებითი სკოლებისთვის სუბსიდიის მისაცემად.

3. მოისპოს 1919 წლის იანვრის 1-დან პირველ მუხლში აღნიშნულ სკოლების თვიური კრედიტები.

1919 წ. მაისის 20.

დედასს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას.

ს ა ე რ ო მ ნ უ ს ხ ა

ყველა იმ ხარჯისა, რომელიც გაღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან საშუალო და უმაღლეს დაწესებულებათა სკოლების მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად იანვრისა, თებერვლისა, მარტისა და აპრილის განმავლობაში, პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის იანვრის 28-ს დამტკიცებულ კანონის თანახმად.

1. ვაჟთა გიმნაზიები	1.284.913 მ.	68 კ.
2. რეალური სასწავლებელნი	216.593	„ 32 „
3. საკომერციო სასწავლებელნი	106.956	„ 60 „
4. ქალთა გიმნაზიები	1.057.756	„ —
5. საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები	459.216	„ 60 „
6. უმაღლესი დაწესებულებათა სკოლები	959.684	„ 96 „

ს უ ლ 4.085.121 მ. 16 კ.

1919 წ. მაისის 20.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
 უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
 თავმჯდომარე **ნ. უორდანია.**

59. კ ა ნ ო ნ ი

ოჯახურ მდგომარეობისა გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებისა.

1. ოჯახურ მდგომარეობისა გამო ჯარში გაწვევისაგან თავისუფლდება:

- ა. ერთად-ერთი მარჩენელი ვაჟი შრომის უნარმოკლებულ მამისა ან ქვრივი დედისა;
- ბ. ერთად-ერთი მარჩენელი ძმა ერთისა ან რამდენისამე ობოლის ძმისა, ან გაუთხოვარის დისა, რომელთაც შრომა არ შეუძლიანთ;
- გ. ერთად-ერთი მარჩენელი შვილიშვილი შრომის უნარმოკლებულ დიდედისა ან პაპისა, თუ უკანასკნელთ მარჩენელი შვილი არა ჰყავთ;
- დ. ქორწინების გარეშე შობილი შვილი, რომელსაც შესაძლებელია ჰყავს შრომის უნარმოკლებული დედა, ან გაუთხოვარი და, ან ძმა, თუ დედას

არა ჰყავს სხვა მარჩენელი შვილი და გაუთხოვარ დას, ან შრომის შეუძლო ძმას—სხვა შრომის შემძლე ძმა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ შეღავათის შესახებ მოწმობას მისცენ ადგილობრივი თვითმმართველობა. მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს დაწვრილებით იმ პირის ოჯახის ნივთიერი მდგომარეობა, რომელიც შეღავათს თხოულობს და აგრეთვე, — არის თუ არა იგი ოჯახის იმ წევრის ნამდვილი მარჩენელი, რომლის გამო მას შეღავათი უნდა მიეცეს.

3. ოჯახურ მდგომარეობისა გამო შეღავათის განსაზღვრის დროს შეილად ითვლება;

ა. გერი, თუ ის არჩენს შრომის უნარმოკლებულ მამინაცვალს, დედინაცვალს ან მათ მცირეწლოვან შვილებს;

ბ. შვილობილი, დაბადების დღიდან ათი წლის განმავლობაში აყვანილი, უკეთუ ამ ხანის განმავლობაში არის შედგენილი მისი კანონიერის წესით შეილად აყვანის დამამტკიცებელი საბუთი.

4. შრომის შემძლე ოჯახში ითვლება მამრობითი სქესი 17 წლიდან 55 წლამდე შემდეგის გამონაკლისით:

ა. სრულიად შრომისათვის უვარგისი—სამუდამოდ დასახიჩრებისა ან ავადმყოფობის გამო;

ბ. ვადასახლებული სასჯელთა დებულების მე-25, 26 და 27 მუხლის ძალით;

გ. უკვალოდ დაკარგული, თუ ამის შესახებ გამოცხადებული და გამოქვეყნებული იყო სამის წლის წინად ჯარში გაწვევამდე.

5. შრომის შეუძლებლობის გამორკვევა ექიმის შემოწმებით და აგრეთვე ოჯახის წევრის უკვალოდ დაკარგვის დადასტურება ევალემა ადგილობრივ თვითმმართველობას.

შ ე ნ ა შ გ ნ ა. თუ ოჯახის წევრის შესამოწმებლად წაყვანა შეუძლებელია, მაშინ მის ავადმყოფობასა და უძლურებას ამოწმებს კომისია, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა დანიშნავს, ან მაზრის და ან უბნის ექიმი.

6. ვინც ოჯახურ მდგომარეობისა გამო იქნება განთავისუფლებული სამხედრო ბეგარისაგან, სამსახურში არ მიიღება და მარქაფა ლაშქარში ჩაირიცხება, თუნდა ყოველწლიურ გასაწვევთა რიცხვის შესავსებად სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვეულთა რაოდენობამ არ იკმაროს.

7. ვისაც ოჯახური მდგომარეობისა გამო სამხედრო ბეგარის მოხდაში შეღავათის უფლება აქვს, ჰკარგავს ამ უფლებას, თუ ადგილობრივ თვითმმართველობის დასკვნით არ არის ოჯახის ნამდვილი მარჩენელი.

8. თუ ოჯახური მდგომარეობა შეიცვალა, იმ ოჯახის ერთ-ერთი სამხედრო სამსახურში მყოფი წევრთაგანი, ოჯახის უფროსის ამორჩევით,

შეიძლება ნამდვილ სამსახურიდან მარჯაფა ლაშქარში გადაირიცხოს, გარდა ომიანობის დროისა.

შენაშენა. ნამდვილ სამსახურიდან მარჯაფა ლაშქარში გადაირიცხული არ იქნება, ვისაც ბრალად ედება სასამართლოს მიერ: სამსახურიდან გაქცევა, განზრახ თავის დასახიჩრება, ან ყალბი მოქმედება იმ აზრით, რომ თავიდან აიცილოს სამხედრო ბეგარა, ან ისარგებლოს იმ შეღავათით, რომლის უფლება არა აქვს.

9. ჯარში გასაწვევის ან ჯარში მყოფის ოჯახის წევრების წლოვანება (მუხ. 4) იანგარიშება იმ წლის პირველ იანვრამდე, რა წელსაც შეღავათი ინიშნება.

10. ვინც ცრუ ცნობას ან საბუთს წარადგენს იმ აზრით, რომ სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლდეს ვითომდა ოჯახური მდგომარეობის გამო, დაისჯება დანაშაულობის მიხედვით განსაკუთრებულ სატუსალო ნაწილებში გაგზავნით ერთიდან ორ წლამდე.

11. სამხედრო ბეგარის შეღავათის მოპოვებისათვის ცრუ მოწმობის მიმცემი თანამდებობის პირი დაისჯება ციხეში დაბატონებით ექვსის თვიდან ორ წლამდე.

12. ვინც ოჯახური მდგომარეობის გამო სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების ღირსია, იმას გაწვევის დროს ანთავისუფლებს მაზრის სამხედრო უფროსი; ხოლო უკვე ჯარის ნაწილში მყოფს—ამ ნაწილის უფროსი, შესაფერ საბუთების წარდგენის შემდეგ (მუხ. 2 და 5).

უმთავრესი კონტროლი სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებისა, ოჯახურ მდგომარეობის გამო, ევალება სამხედრო სამინისტროს.

13. ეს კანონი ვრცელდება იმ ჯარის-კაცებზედაც, რომელნიც ეხლა იმყოფებიან ჯარში.

1919 წ. მაისის 20.

დედასს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **აღ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე **ნ. უორდანი.**

60. დ ე კ რ ე ტ ი

რესპუბლიკის სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეების
ჯამაგირის მომატებისა.

I. რესპუბლიკის სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის შემდეგი ჯამაგირი დაწესდეს:

1) ტფილისში: ა) შიკრიკისა, დარაჯისა, წერილების დამტარებლისა, საბაჟოს ყარაულისა და სხვა დაბალ მოსამსახურეთათვის ექვსასი (600) მანეთი თვეში;

ბ) მანქანაზე გადამწერისა, რეგისტრატორისა, კანცელარიის მოხელისა, გადამწერისა და სხვა ამათ თანაბარ ხარისხის პირთათვის ექვსას ორმოცდაათი (650) მანეთი თვიურად, თუ ისინი არ იღებენ ოთხას ორმოცდაათს (450) მანეთზე მეტს თვეში;

2) ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში:

ა) პირველ მუხლის ლიტ. ა-ში აღნიშნულ დაბალ მოსამსახურეთათვის ხუთასი (500) მანეთი თვეში.

ბ) პირველ მუხლის ლიტ. ბ-ში ჩამოთვლილ პირთათვის ხუთას ორმოცდაათი (550) მანეთი თვეში;

3) რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში: ა) პირველი მუხლის ლიტ. ა-ში აღნიშნულ დაბალ მოსამსახურეთათვის ოთხას ორმოცდაათი (450) მან. თვეში; ბ) პირველ მუხლის ლიტ. ბ-ში აღნიშნულ პირთათვის ხუთასი (500) მანეთი თვეში.

II. იმ მოსამსახურეთ, რომელნიც მოხსენებულნი არ არიან პირველ და მეორე მუხლში და რომელთა ჯამაგირი ათას მანეთს არ აღემატება, მიემატოს ორმოცდაათი (50%) პროცენტი, ხოლო იმ მოსამსახურეს, რომელნიც იღებს ათას (1000) მანეთზე მეტს, მიემატოს ოთხასი (400) მანეთი თვეში.

III. ზემოაღნიშნული მომატება არა ვრცელდება რესპუბლიკის რკინის გზისა და დამფუძნებელ კრების კანცელარიის მოსამსახურეებზე.

IV. ზემოაღნიშნული მომატება არა ვრცელდება აგრეთვე ფოსტატელეგრაფის მოსამსახურეებზე, რომელთათვის უნდა დაწესებულ იქნეს შემდეგი ჯამაგირები: ა) ყველა იმ მოსამსახურეს, რომელიც იღებს თვიურ ჯამაგირად არა უმეტეს ათასი (1000) მანეთისა, მიემატოს ორმოცდაათი (50%) პროცენტი; ბ) ყველა იმ მოსამსახურეს, რომელიც იღებს თვიურად ათას (1000) მანეთზე მეტს, მიემატოს ოთხასი (400) მან. თვეში.

V. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამ დეკრეტით გამოწვეული ხარჯი აქ დართულ ნუსხის თანახმად და მიეცეს უწყებას და-

მატება ყოველ თვიურად დამფუძნებელ კრების მიერ დაწესებულებათა შტატების დამტკიცებამდე.

VI. დაევალოს მთავრობას მოახდინოს უსაჭიროეს მინიმუმამდე შემცირება ყველა უწყებაში მოსამსახურეთა რიცხვისა.

VII. დათხოვნილ მოსამსახურეთათვის მისაცემ სალიკვიდაციო ფულის გამოანგარიშების დროს ამ დეკრეტით დაწესებული მიმატება მხედველობაში არ მიიღება.

VIII. სახელმწიფო მოსამსახურეთ აპრილის ჯამაგირის დამატებად ჩათვალოთ და აღარ გამოერიცხოთ ის ავანსი, რომელიც მიეცათ 1919 წლის 15 აპრილის დადგენილების ძალით („კანონთა და მთავრ. განკარგულებათა კრებული“ 1919 წ. № 6, კან. მე-47):

IX. ამ დეკრეტით დაწესებული ჯამაგირის მომატება გავრცელებულ იქნეს სახელმწიფო მოსამსახურეებზე 1919 წლის მაისის პირველიდან.

X. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან დამტკიცებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. მაისის 20.

ჯეჯანს ხედს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე ნ. უორდანიას.

ნ უ ს ს ა

სამოქალაქო უწყებების სასელმწიფო მოსამსახურეთა 1919 წ. მაისის 1-დან ეოველ თვიურ დამატებით ჯამაკრებით დასაკმაყოფილებლად კადანსადებ თანხისა.

№№ რიგზე	სამინისტროების სასელწოდება	თვიურად გადასადებ თანხების ჯამი
		მ ა ნ ე თ ი
1	მთავრობის საქმეთა სამართველო	7.560
2	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2,323.939
3	სახალხო განათლების სამინისტრო	1,460.364
4	გარეშე საქმეთა სამინისტრო	20.070
5	იუსტიციის სამინისტრო	582.360
6	ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწ. სამინისტრო	438.460
7	მიწათ-მოქმედების სამინისტრო	923.958
8	გზათა სამინის. (სახაზ. რკინ. გზათა გამოკ.)	218.548
9	შრომის სამინისტრო	9.990
10	სახელმწიფო კონტროლი	96.510
	ჯ ა მ ი	6.081.759

1919 წ. მაისის 20.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. უორდანი.**

61. დ ე კ რ ე ტ ი

რკინის გზის საწყობებში საქონლის შენახვის ვადის შემცირებისა.

I. რკინის გზის წესდების მე-84 მუხ. აღნიშნული საქონლის შენახვის უდიდესი ვადა შემცირდეს 5 დღემდე.

II. ამავე წესდების მე-90 მუხ. განსაზღვრული 30 დღის ვადა საქონლის შენახვისა შემცირდეს 15 დღემდე.

III. ამავე წესდების მე-90 მუხ. განსაზღვრული 4 თვის ვადა საქონლის პატრონისაგან განკარგულების მოსვლისა შემცირდეს ერთ თვემდე.

1919 წ. მაისის 20.

დედასს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე ნ. შორდანია.

62. დ ე კ რ ე ტ ი

500.000 მანეთის გადადებისა ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადაკეთებისათვის რესპუბლიკის სამინისტროების მოსათავსებლად.

1. გადადებულ იქნეს მთავრობის განკარგულებაში ხუთასი ათასი (500.000) მანეთი ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადაკეთებისათვის რესპუბლიკის სამინისტროების მოსათავსებლად.

2. ზემოხსენებული თანხა გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

1919 წ. მაისის 20.

დედასს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე ნ. შორდანია.

63. დ ე კ რ ე ტ ი

100.000 მანეთის გაღებისა საუკეთესო სახელმძღვანელოთა ავტორთათვის პრემიების მისაცემად.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ასი ათასი (100.000) მანეთი საუკეთესო სახელმძღვანელოების (როგორც ორიგინალურის, ისე ნათარგმნის) ავტორთათვის პრემიების მისაცემად.

2. მიენდოს სახალხო განათლების მინისტრს შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი სახელმძღვანელოთა განხილვა-შეფასებისა და ავტორთა პრემიებით დაჯილდოებისა.

1919 წ. მაისის 20.

დედასს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

64. დ ე კ რ ე ტ ი

საქართველოს პარლამენტის 1919 წლის იანვრის 31-ს კანონის (მთავრობისათვის საგასავლო თვიურ კრედიტების გახსნისა) მოქმედების განგრძობისა.

1. საქართველოს პარლამენტის მიერ 1919 წ. იანვრის 31-ს მიღებულ მთავრობისათვის საგასავლო თვიური კრედიტების გახსნის კანონის („კან. და მთავრ. განკარგ. კრებული“ 1919 წ. № 4, კან. მე-32) მოქმედება განგრძობილ იქნეს ამა წლის მაისის 31-დე.

2. აგრეთვე განგრძობილ იქნეს ამა წლის მაისის 31-დე იმ კანონთა მოქმედება, რომლის ძალითაც ამა წლის იანვრის 1-დან გახსნილია თვიური დამატებითი კრედიტები სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. მაისის 20.

დედასს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

65. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სახაზინო რკინის გზების მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.

1. 1919 წ. მაისის 1-დან რკინის გზის ყველა მოსამსახურეს, ხელოსანს და მუშას დაენიშნოს ღრობით დამატებითი შესანახი. მისი რაოდენობა პროცენტული დამოკიდებულების მიხედვით გამოანგარიშებულ იქნეს ძირითად ჯამაგირებიდან, რომელიც მიღებულია 1919 წლის 31 იანვრის კანონით („კან. და მთავრ. განკარ. კრებული“ 1919 წ. № 4, კან. მე-33); ხოლო სიძვირისა გამო თვითურად 360 მან. აწინდელ მომატების ნაცვლად შემოღებულ იქნეს შემდეგი პროცენტული განსაზღვრა:

კატეგორიები.	ძირითადი ჯამაგირი.	დამატებითი შესანახი.
I	183 მან. 75 კაბ.	278 %
II	210 „ — „	257 „
III	236 „ 25 „	240 „
IV	262 „ 50 „	225 „
V	288 „ 75 „	215 „
VI	315 „ — „	205 „
VII	341 „ 25 „	195 „
VIII	367 „ 50 „	190 „
IX	393 „ 75 „	185 „
X	420 „ — „	178 „
XI	433 „ 50 „	175 „
XII	459 „ — „	168 „
XIII	470 „ 25 „	165 „
XIV	495 „ — „	160 „

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შეგირდებისათვის აწინდელ ძირითად ჯამაგირის მიხედვით დამატებითი შესანახი განისაზღვროს 75 მან. თვითურად.

2. მოსამსახურეები, რომლებიც ითვლებიან კატეგორიის გარეშე, განაწილებულ იქმნან ა/წ. მაისის 1-დან 14 ხარისხად და დაწესებულ იქნეს მათთვის ქვემოთ აღნიშნული ძირითადი თვითური ჯამაგირი და ღრობითი დამატებითი შესანახი, რომლის რაოდენობა პროცენტული დამოკიდებულების მხრივ გამოანგარიშებულ იქნეს, ნაცვლად აწ არსებულ ყველა მომატებისა, მხოლოდ ახალ ძირითად ჯამაგირებიდან შემდეგი პროცენტული განსაზღვრით:

ხარისხები.	ძირითადი ჯამაგირი.	დროებითი დამატებითი შესანახი.
I	550 მან. — კაპ.	140 %
II	600 „ „ „	125 „
III	662 „ „ „	110 „
IV	725 „ „ „	100 „
V	787 „ 50 „	95 „
VI	850 „ — „	90 „
VII	925 „ „ „	85 „
VIII	1000 „ „ „	80 „
IX	1075 „ „ „	78 „
X	1180 „ „ „	75 „
XI	1250 „ „ „	70 „
XII	1350 „ „ „	65 „
XIII	1500 „ „ „	60 „
XIV	1800 „ „ „	55 „

3. წინადადება მიეცეს გზათა დეპარტამენტს შრომის სამინისტროსთან ერთად ორი თვის განმავლობაში გადასინჯოს არსებული განაწილება მოსამსახურეებისა კატეგორიებად და ხარისხებად.

4. ამ კანონის 1 და 2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის გაეხსნას გზათა უწყებას სახელმწიფოს ხაზინიდან დამატებითი თვიური კრედიტი:

1 მუხლის მიხედვით . . .	3.568.414 მან.
2 „ „ „ . . .	59.194 მან.

სულ თვიურად . 3.627.608 მან.

1919 წ. მაისის 27.

დედასს სელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას.

66. კ ა ნ ო ნ ი

მოქალაქეობისა.

I

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.).

2. ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის იანვრის 1-დან განუწყვეტლივ სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით.

3. მე-4 მუხლში აღნიშნულ წესითვე მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას: ა) აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში, ან თავის საქირაო შრომით ირჩენს თავს; ბ) არა ნაკლებ სამი წლისა სცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე, და გ) სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

4. მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, რომელიც მისცემს მოთხოვნელს მოქალაქეობის მოწმობას, უკეთუ იგი სათანადო პირობებს აკმაყოფილებს.

ამ მუხლის ძალით მიღებული დადგენილება მომრიგებელმა მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სათანადო პროკურორს. უკანასკნელს უფლება აქვს ასლის მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში განასაჩივროს ასეთი დადგენილება.

5. ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი ჩარიცხულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ზემოაღნიშნულ (1, 2, 3 მუხ.) პირობის გარეშეც, უკეთუ ის სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განუცხადებს ამის სურვილს: საქართველოში მცხოვრები—ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, ხოლო უცხო სახელმწიფოში მცხოვრები—მახლობელ კონსულს. ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან მისცენ მოთხოვნელს საქართველოს მოქალაქეობის მოწმობა.

II

6. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება აგრეთვე:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარედ;

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან;

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა;

დ) კანონიერის წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქისაგან;

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს; ხოლო უწლოვანო შვილი ასეთი ქრისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილს;

ვ) უცხოელთა უწლოვანო შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი, იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას;

ზ) შვილი საქართველოს იმ მოქალაქე ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივად სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს, და

ს) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

7. ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შეუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან უქვეშევრდომოს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შეუამდგომლობა უნდა წარედგინოს ადგილობრივ თვითმართველობის საბჭოს, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შეუამდგომლობის აღძვრისა განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ მას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნე პირად არ მიიჩნევს. თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შენიშვნა 1. ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელადაც იქნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ.

შენიშვნა 2. ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ აგრეთვე ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი.

4 233
1919

8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

9. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქე არის აღქურვილი პოლიტიკური უფლებით.

10. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომობას მიიღებს ნატურალიზაციის წესით;

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად;

გ) ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

III

11. 1918 წლის ივლისის 16-ს დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა („კან. და მთავრ. განკ. კრებული“ 1918 წ., კან. მე-20) გაუქმებულია.

1919 წ. მაისის 27.

დედანს ხელს აწერეს:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. უორდანი.**

